დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 22.02.2024

დასკვნის წარდგენის თარიღი - 11.04.2024

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 18

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 23

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 26

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 33

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ქეთევან აფთარაშვილი,** შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ლია ქურციკიძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თამარ გვიანიშვილი** - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**სოსო გაზდელიანი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	**სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა**
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Special Education Teacher Training Program
უმაღლესი განათლების საფეხური	-
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	-
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0113 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციის გარეშე / Teacher Training without Subject Specialization
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული /ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი; სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პედაგოგიური კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდა; საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებსა და ანალოგიურ დაწესებულებებში სწავლების არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის საელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბსუ ან დაწესებულება) მიერ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებას საფუძვლად უდევს ERASMUS+ პროექტი ,,ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად'', რომლის ფარგლებში 2 უნივერსიტეტის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბსუ-ს თანამშრომლობით შემუშავდა აღნიშნული პროგრამა. პროგრამის შემუშავებას საფუძვლად უდევს საქართველოს მასშტაბით ჩატარებული სპეციალური მასწავლებლისა და მათი დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი (შრომის ბაზრის კვლევა), სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, დარგობრივი მახასიათებლები და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ ბსუ პროგრამის შემუშავებისას შესწავლილ იქნა რამდენიმე საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამა (რუზველტის უნივერსიტეტი, აშშ (ჩიკაგო) - სპეციალური განათლება, BAE; ოჰაიოს უნივერსიტეტი, აშშ - სპეციალური განათლების პროგრამა; ახალი ინგლისის უნივერსიტეტი, ავსტრალია - სპეციალური და ინკლუზიური განათლების ბაკალავრი (დაწყებითი); ლიბერთის უნივერსიტეტი, ვირჯინიოს შტატი - ბაკალავრი სპეციალურ განათლებაში).

პროგრამის განხორციელებაზე სარეკომენდაციო წერილი ბსუ-ს მიღებული აქვს ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორის, ურსულა მარკოვსკა-მანისტას მიერ, რომელიც 2019 წლიდან ზემოთ აღნიშნული ERASMUS+ პროექტის (CISI) ფარგლებში მხარს უჭერდა უნივერსიტეტებში პროგრამის შემუშავებას.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის მიზანია პროფესიონალი სპეციალური მასწავლებლის მომზადება, რომელიც:

,,ა) ფლობს ცოდნას ინკლუზიური განათლების არსის, მისი ძირითადი პრინციპებისა და ფილოსოფიური საფუძვლების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების მეთოდებისა, სტრატეგიებისა და დახმარების ტექნოლოგიების შესახებ;

ბ) ახდენს მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ადრეულ იდენტიფიცირებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს უქმნის შესაბამის სასწავლო გარემოს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში

გ) აცნობიერებს სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას, არსებული გამოწვევების ფონზე, სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის ჩართვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად, დარგის სიახლეების გათვალისწინებით პოულობს საუკეთესო გამოსავალს და აღწევს დასახულ საგანმანათლებლო მიზნებს''.

პროგრამა არის ახალი და მის განხორციელებაში ჩართული პერსონალის (აკადემიური, მოწვეული) რაოდენობა ჯამში არის 11.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 8 თებერვლის ბრძანების N128267 შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2024 წლის 22 თებერვალს განხორციელდა ვიზიტი სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ (შემდგომში - დაწესებულება), ქ. ბათუმში „სპეციალური მასწავლებლის მომზადების'' საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით;

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ვიზიტი წარიმართა აკადემიურ გარემოში, შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა დაგეგმილი ყველა შეხვედრა. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დაწესებულების ადმინისტრაციას (რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე „მასწავლებლის მომზადების“ პროგრამის სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე დამსაქმებლებს. გადამოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა მოწოდებაც დაწესებულებამ დროულად უზრუნველყო. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გააცნო პროგრამის შესახებ ადგილზე ვიზიტის ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები/მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით: <u>სტანდარტი I</u>. „საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“ - <u>მეტწილად შესაბამისია</u> მოთხოვნებთან; <u>სტანდარტი II</u>. „სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“ - <u>მეტწილად შესაბამისობაშია</u> მოთხოვნებთან; <u>სტანდარტი III</u> „სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა“ - <u>შესაბამისობაშია</u> მოთხოვნებთან; <u>სტანდარტი IV</u> „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“ - <u>შესაბამისობაშია</u> მოთხოვნებთან; <u>სტანდარტი V</u> „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები“ - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

<u>**სტანდარტი I**</u>

1.2.

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და გამოიკვეთოს შედეგების ავთენტურობა და უნიკალობა პროგრამის სტრუქტურასთან, პროგრამის ინდივიდუალურ კონტექსტთან მიმართებით.

1.3.

- რეკომენდებულია, გათვალისწინებულ იქნას სწავლის შედეგის ფორმირებაში მონაწილე კურსების სპეციფიკა, კავშირი პროგრამის სხვა კომპონენტებთან და მათი რეალური როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) კონკრეტული სწავლის შედეგის ფორმირებაში.
- რეკომენდებულია, მისაღწევი შედეგის სპეციფიკის გათვალისწინებით შეირჩეს და მიეთითოს შეფასების მხოლოდ ის მეთოდები, რომელთა მეშვეობით რეალურად შესაძლებელი იქნება ამ შედეგის მიღწევის დადასტურება (გაზომვა).

1.4.

- გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმა. კერძოდ, სასწავლო კურსებისთვის განისაზღვროს მასზე დაშვების წინაპირობები, პროგრამაში განისაზღვროს არჩევითი კომპონენტი.

1.5.

- რეკომენდებულია, პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გადახედვა და მათი ჩამოყალიბება იმგვარად, რომ გახდეს კონკრეტული, რეალისტური და მკაფიოდ ჩანდეს სილაბუსში, თუ როგორ ხდება განსაზღვრული შედეგების მიღწევის გაზომვა/შეფასება.

<u>**სტანდარტი II**</u>

2.1.

- o რეკომენდებულია, გადაიხედოს სპეციალური მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მოტივაციური გასაუბრების ჩატარების წესი'' და დაწესებულების მიერ განსაზღვრული

გამოცდა - მოტივაციური გასაუბრება, გახდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობა ჩარიცხვის ყველა კანდიდატისთვის.

2.4

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან მიმართებით.
- რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსისთვის შემუშავებულ იქნას შეფასების რუბრიკები/სქემები, რათა მიღწეულ იქნას შეფასების უფრო მეტი სანდოობა, გამჭვირვალობა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვადობა.

<u>სტანდარტი V</u>

5.1.

- აუცილებელია პროგრამის განათლების დონე მიეთითოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

<u>სტანდარტი I</u>

1.3.

- მიზანშეწონილია, დადგენილი სამიზნე ნიშნულების რაოდენობრივი მაჩვენებლები არ იყოს უნიფიცირებული და დაკორექტირდეს მისაღწევი სწავლის შედეგების თავისებურებების (სირთულის) გათვალისწინებით;
- მიზანშეწონილია, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს დამატებით ჩაუტარდეს ტრეინინგები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და მათი მნიშვნელობა, პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტების ურთიერთკავშირი და როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).

1.4.

- სასურველია, პროგრამაში აღწერილობაში მიეთითოს პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული რა ტიპის სერტიფიკატს მიიღებს;

1.5.

- სასურველია, მიეთითოს საკითხავი ლიტერატურის მოცულობა, თავები ან გვერდები მიწოდებული მასალიდან.

<u>სტანდარტი III</u>

3.1.

- სასურველია, დაიგეგმოს სტუდენტთა ექსტრაკურიკულური აქტივობები;
- ინკლუზიური განათლების მიმართულებით უცხოური გამოცდილების გაზიარებისათვის, სასურველია, სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის დაიგეგმოს საერთაშორისო მობილობა: გაცვლითი პროგრამები, საერთაშორისო პროექტები და სხვ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

CISI პროექტის ფარგლებში შეძენილია სპეციალური ტექნიკა/მოწყობილობები და ლიტერატურა, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2024 წლის 28 მარტის წერილით №368347 წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით;

არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი **ვერ იზიარებს 1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.** პროგრამის სწავლის შედეგების თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს დარგობრივი მახასიათებელს და მხოლოდ ტექნიკურად რამდენიმე შემთხვევაში ფიქსირდება შედეგების გაერთიანება. ამგვარად ფორმულირებული პროგრამის შედეგები არ აჩენს მკაფიოდ რამდენად გაითვალისწინა უნივერსიტეტმა ა) სპეც. მასწავლებლის სტანდარტი ბ) შრომის ბაზრის კვლევის შედეგები გ) პროგრამის თვითმყოფადობა/ავთენტურობა.

ექსპერტთა ჯგუფი **ვერ იზიარებს 1.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, ვინაიდან** პროგრამის II სემესტრში დაგეგმილი „ინკლუზიური განათლების პრაქტიკის“ სილაბუსის თანახმად, პრაქტიკის მიზანია „სტუდენტებმა სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის საფუძველზე აითვისონ და გამოიმუშაონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან სკოლაში მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები“. შესაბამისად, პროგრამის I სემესტრში გათვალისწინებულმა სასწავლო კურსებმა, მაგ., „სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები“ (მიზანია “სტუდენტმა მიიღოს საბაზისო ცოდნა ინკლუზიური განათლების, მისი ძირითადი პრინციპების, განხორციელების მოდელებისა და პრაქტიკის შესახებ) და „ინკლუზიური განათლების მეთოდური საკითხები” (ერთ-ერთი მიზანია „სტუდენტმა მიიღოს ცოდნა და განივითაროს უნარ-ჩვევები ... მოსწავლის პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის საფუძველზე”) უნდა შექმნან II სემესტრში გასავლელი პრაქტიკის საფუძვლები, რაც გამორიცხავს პროგრამის შედეგების ფორმირებაში საფუძვლების შემქმნელი სასწავლო კურსებისა და პრაქტიკის ერთნაირ (განმტკიცების) დონეზე მონაწილეობას.

ექსპერტთა ჯგუფი **ვერ იზიარებს 1.4 და 2.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით წარმოდგენილ პოზიციას, რადგან** წინაპირობების განსაზღვრის (მაგალითად, პრაქტიკისთვის) ან არჩევითი კურსების შეთავაზების ნაწილში, ასევე მოტივაციური გასაუბრების ჩატარების ფორმატსა და შინაარსთან დაკავშირებით არ იკვეთება დაწესებულების მხრიდან რეკომენდაციის არ გათვალისწინების საფუძვლიანი არგუმენტი/გარემოებები; ამასთანავე, დაწესებულება იზიარებს **1.5 და 2.4** ნაწილში გაცემულ რეკომენდაციებს.

5.1. ნაწილში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია გაზიარებული არ არის შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე: მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამისა და „სპეციალური მასწავლებლის მომზადების“ პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის განზოგადებულ სწავლის შედეგებს, არ არის მართებული მხოლოდ ამ გარემოებაზე დაყრდნობით „სპეციალური მასწავლებლის მომზადების“ პროგრამის მოხსენიება „აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამად“ (იხ., პროგრამის კურიკულუმი - გვ. 1, 2), რადგან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად:

1) აკადემიური უმაღლესი განათლება
   - მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს (მ.2, პ. “ე[1]”);
   - აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური არის ბაკალავრიატი (მ.2, პ. “ნ”);
   - ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს (მ. 48, პ.1; მ. 52);
   - აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა არის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა (მ.2, პ. მ[1]);
   - აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ხდება აკადემიური ხარისხის მინიჭება (პ. “ვ”).

2) სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

- წარმოადგენს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებელ, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონისთვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს (მ.2, პ. "წ[10] ");
- სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საბაზო პროფესიული უნარების გამოცდა (მ. 47 8 , პ.2);
- სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ხდება არა აკადემიური ხარისხის მინიჭება, არამედ სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემა (მ.2, პ. "წ[11] ", მ. 47 8 , პ.5).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტში მითითებული რეკომენდაცია და ქვესტანდარტის შეფასება ექსპერტთა რჩება უცვლელად.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** – არ არის.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში (შემდგომში - პროგრამა) აღწერილია პროგრამის მიზანი და აქტუალობა. პროგრამის მიზანში მკაფიოდ ჩანს, რომ პროგრამა ემსახურება „პროფესიონალი სპეციალური მასწავლებლის“ მომზადებას. ამავდროულად, მიზნები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელსაც უნდა ფლობდეს პროგრამის კურსდამთავრებული. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და ითვალისწინებს სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. წარმოდგენილი მიზნები დაკავშირებულია როგორც სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან, ამავდროულად მასწავლებლის (კერძოდ, სპეციალური მასწავლებლის) პროფესიულ სტანდარტთან. კერძოდ, პროგრამის მიზნებში ასახულია ცოდნის შეძენა ინკლუზიური განათლების ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ, საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიცირება და მათ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს ფორმირება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება და განხორციელება.

პროგრამაში წარმოდგენილი მიზნები, ასევე, ასახავს თუ რა წვლილი შეაქვს სფეროს განვითარებაში. კერძოდ, ქვეყანაში არსებული პროფესიონალი სპეციალური მასწავლებლის კადრის დეფიციტის ფონზე, პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სასწავლებლებში, დღის ცენტრებსა და სარეაბილიტაციო ცენტრებში სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობას და გამოვლენილი გამოწვევების გადაჭრას.

პროგრამის მიზანი შეესაბამება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას. კერძოდ ამოცანა 3-ში მკაფიოდ ჩანს, რომ უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერა, რომლის ერთ-ერთ საშუალებად ინკლუზიური განათლების ხელშეწყობაა დასახელებული.

პროგრამის მისია ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება როგორც დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუთი, ასევე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კვლევის ანგარიშით „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესწავლა“.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალია, ჯერჯერობით ის არ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის საიტსა თუ სხვა პლატფორმებზე. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლები გეგმავენ უზრუნველყონ პროგრამის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებული მხარეებისთვის სხვადასხვა გზებისა და მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ღია კარის დღეები, უნივერსიტეტის ვებ- გვერდი, სტუდენტების პორტალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესწავლა“ - დანართი #42
- „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ - დანართი #01;
- ბსუ-ს მისია და სტრატეგიული გეგმა - დანართი #04
- სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„სპეციალური მასწავლებლის მომზადების“ პროგრამაში (შემდგომში - პროგრამა) ჩამოყალიბებულია 10 სწავლის შედეგი, მათ შორის 4 ორიენტირებული მომავალი კურსდამთავრებულისთვის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნის შეძენაზე, 4 უნარსა და 2 პასუხისმგებლობა ავტონომიურობაზე. პროგრამის სწავლის შედეგებში ჩამოყალიბებული შინაარსი შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები ეყრდნობა სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს, თუმცა ზოგიერთი სწავლის შედეგები დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტსა და დაწესებულების პროგრამაში იდენტურია. მაგალითად: დარგობრივი მახასიათებლის პირველი სწავლის შედეგი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ახდენს ზოგადი ცოდნის დემონსტრირებას ინკლუზიური განათლების არსის, მისი ძირითადი პრინციპებისა და მახასიათებლების, სპეციალური და ინკლუზიური განათლების ისტორიული და ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ;“ პროგრამის პირველი სწავლის შედეგი თითქმის იდენტურია „ახდენს ცოდნის დემონსტრირებას ინკლუზიური განათლების არსის, მისი ძირითადი პრინციპებისა და ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ“. ასევე, დარგობრივის პირველი უნარი შემდეგნაირად გამოიყურება: „ამოიცნობს ინდივიდის სავარაუდო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას და უზრუნველყოფს დროულ რეფერირებას შესაბამის სპეციალისტთან“. პროგრამის სწავლის შედეგი - „ამოიცნობს ინდივიდის სავარაუდო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებას და ახდენს სპეციალისტთან დროულ რეფერირებას.“ დარგობრივ მახასიათებლებსა და უნივერსიტეტის პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის მიზნები პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე სიტყვა-

სიტყვით მეორდება. აღნიშნული გარემოების გამო ნაკლებად ჩანს უნივერსიტეტის პროგრამის ინდივიდუალობა და უნიკალობა.

რადგან პროგრამა ახალია, მოცემული მომენტისთვის არ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების პლატრფორმებზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურსების პილოტირება მომიჯნავე პროგრამებში განხორციელდა და სტუდენტების გარკვეული ჯგუფისთვის პროგრამის შესახებ ინფორმაცია გაზიარებულია. დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ პერსონალს აქვს მკაფიო გეგმა, თუ როგო უზრუნველყოს პროგრამის როგორც მიზნების, ასევე შედეგებისა და შინაარსის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული პლატფორმებისა და ღია კარის დღეების გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ - დანართი #01;
- სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი
- თვითშეფასების ანგარიში - დანართი #01

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და გამოიკვეთოს შედეგების ავთენტურობა და უნიკალობა პროგრამის სტრუქტურასთან, პროგრამის ინდივიდუალურ კონტექსტთან მიმართებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია. შესაბამისად, ქვემოთ მოცემული აღწერს ბსუ-ს მიერ შემუშავებულ მექანიზმებსა და მიდგომებს. დაწესებულებაში მოქმედი „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის“ თანახმად, პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (შემდგომში - შეფასება) არაპირდაპირი და პირდაპირი მეთოდებით. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს მიეკუთვნება დაინტერესებულ პირთა (მაგ., სწავლის სუბიექტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მიერ განხორციელებული შეფასება (მათ შორის, გამოკითხვების ფორმით). პირდაპირი შეფასების მეთოდებს მიეკუთვნება, მაგ., სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე ეტაპობრივი დაკვირვება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „სპეციალური

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. სწავლის შედეგების შეფასება“ თანახმად: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით *„პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტი, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, ვალდებულია სისტემატურად აწარმოოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, სათანადო მონაცემების შეგროვება და ანალიზი. წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების მიხედვით. ცალკეული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შესაბამისი სემესტრის ბოლოს მიაწოდოს დეტალური სტატისტიკური მონაცემები, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს. პროგრამის ხელმძღვანელი აგროვებს ასევე სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის მონაცემებს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფთან (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) ინტერვიუს“*.

ზემოთ მითითებული დოკუმენტის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის დასადგენად გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმები, მაგალითად: სწავლის შედეგებისა და მათ მიღწევაში სხვადასხვა დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) მონაწილე სავალდებულო კომპონენტების (სასწავლო კურსები, ინკლუზიური განათლების პრაქტიკა) ურთიერთკავშირის დადგენა, რაც მოცემულია ზემოთ მითითებულია დოკუმენტის ცხრილში „სწავლის შედეგების რუკა“. აქვე აღსანიშნია, რომ თავად მექანიზმი სწორადაა შერჩეული, თუმცა რიგ შემთხვევაში არ არის სწორად დანახული შედეგის ფორმირებაში მონაწილე კურსების სპეციფიკა - ასე, მაგალითად, პირველი შედეგის (#1.1.) ფორმირებაში განმტკიცების დონეზე მონაწილეობენ „სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები“ (I სემესტრი) და „ინკლუზიური განათლების პრაქტიკა“ (II სემესტრი), პირველი შედეგის (#1.4), მე-2 შედეგის (#2.1-2.4) და მე-3 შედეგის (#3.2.) ფორმირებაში განმტკიცების დონეზე მონაწილეობენ “ინკლუზიური განათლების მეთოდური საკითხები” (I სემესტრი) და „ინკლუზიური განათლების პრაქტიკა“ (II სემესტრი) - ამ შემთხვევაში გამოდის, რომ პროგრამის შედეგის განმტკიცება ხდება უკვე I სემესტრის, საფუძვლების შემსწავლელი სასწავლო კურსის მეშვეობით.

პირდაპირი შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება თითოეული შედეგისთვის სამიზნე ნიშნულის დადგენა. შემოწმების სქემის თანახმად, კონტროლს დაექვემდებარება სწავლის შედეგის ფორმირებაში არამხოლოდ განმტკიცების, არამედ გაცნობისა და გაღრმავებს დონეზე მონაწილე სასწავლო კურსებიც, რაც იძლევა სწავლების სხვადასხვა ეტაპზე დაგეგმილი შედეგის მიღწევის კონტროლის შესაძლებლობას. მონაცემების შეგროვება მოხდება წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, მონაცემების შეგროვებაზე და ანალიზზე პასუხისმგებელ პირთა მიერ. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ:

1) ყველა შედეგისთვის (მიუხედავად მათი განსხვავებული სპეციფიკისა - ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) განსაზღვრულია იდენტური სამიზნე ნიშნულების რაოდენობრივი მაჩვენებელი: „მაქსიმალური შეფასების 60%-ზე მეტს მიიღებს სტუდენტების 70%-ზე მეტი“. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ამ ეტაპზე არ ხორციელდება და ეს მაჩვენებლები თეორიულ ხასიათს ატარებენ, მიზანშეწონილია დაკორექტირდეს სამიზნე ნიშნულების დადგენილი რიცხობრივი მაჩვენებლები სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით.

2) რიგ შემთხვევაში (მაგ.: შედეგი # 2.2. - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრებთან ერთად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასების საფუძველზე, ადგენს და ახორციელებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, მათ შორის უზრუნველყოფს სასწავლო გარემოში თანამონაწილეობისა და მიკუთვნებულობის ხელშეწყობას; შედეგი #3.1. - სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იცავს პროფესიულ ეთიკას; შედეგი #3.2 - მუშაობს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის პრინციპების საფუძველზე; განსაზღვრავს საკუთარ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს პროფესიულ განვითარებას.), შედეგის დადასტურების მიზნით დაგეგმილია სტუდენტის შეფასების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელთა მეშვეობით ნაკლებად შესაძლებელია/შეუძლებელია დაგეგმილი შედეგის (მაგ., პრაქტიკული უნარები, პასუხისმგებლობა ან ავტონომიურობა) მიღწევის შემოწმება/დადასტურება (მაგ., დისკუსია, ესსე, პრეზენტაცია, აკადემიური ჩანაწერების პორტფოლიო, სხვ.).

სწავლის შედეგების შეფასება, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგების განხილვა დაგეგმილია ყოველწლიურად, სხვადასხვა მეთოდით განხორციელებული შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. დაწესებულებაში მოქმედი მიდგომების თანახმად, უარყოფითი შეფასებების წილი არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, რეალურად მიღებული მაჩვენებლების და დაგეგმილი სამიზნე ნიშნულების შედარებისას 10%-იანი ცდომილება წარმოადგენს საკითხის დამატებით შესწავლის და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კომპონენტში (სასწავლო კურსი/სხვ.) ცვლილებების შეტანის საფუძველი. მოქმედი პროგრამების შემთხვევაში ამ მექანიზმის გამოყენება დაადასტურეს ინტერვიუში მონაწილე პროგრამის განმახორციელებლებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა.

ამასთანავე, აღსანიშნია, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრასა და პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტების ურთიერთკავშირზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) გამოწვევები, რაზეც მიზანშეწონილია დაიგეგმოს პერსონალის გადამზადების დამატებითი ტრეინინგები/სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ - დანართი #01;
- „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. სწავლის შედეგების შეფასება“ - დანართი #03;
- „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი“- დანართი #07;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გათვალისწინებულ იქნას სწავლის შედეგის ფორმირებაში მონაწილე კურსების სპეციფიკა, კავშირი პროგრამის სხვა კომპონენტებთან და მათი რეალური როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) კონკრეტული სწავლის შედეგის ფორმირებაში.
- რეკომენდებულია, მისაღწევი შედეგის სპეციფიკის გათვალისწინებით შეირჩეს და მიეთითოს შეფასების მხოლოდ ის მეთოდები, რომელთა მეშვეობით რეალურად შესაძლებელი იქნება ამ შედეგის მიღწევის დადასტურება (გაზომვა)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია, დადგენილი სამიზნე ნიშნულების რაოდენობრივი მაჩვენებლები არ იყოს უნიფიცირებული და დაკორექტირდეს მისაღწევი სწავლის შედეგების თავისებურებების (სირთულის) გათვალისწინებით.
- მიზანშეწონილია, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს დამატებით ჩაუტარდეს ტრეინინგები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და მათი მნიშვნელობა, პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტების ურთიერთკავშირი და როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).

შეფასება :

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) შემუშავებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის N06-01/54 დადგენილება „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტში მოქმედ მეთოდოლოგიას. აღსანიშნავია, რომ ზოგადად წარმოდგენილი პროგრამა შემუშავდა პროექტის „ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად“ (CISI) ფარგლებში. აღნიშნულ პროექტს ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და პროცესში ჩართული იყო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტების პარტნიორობის ფარგლებში მოხდა როლების განაწილება დამსაქმებელთა მოლოდინების კვლევის განხორციელებაში.

რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა წარმოდგენილია ორი სემესტრის, ათი 5-კრედიტიანი სასწავლო კურსისა და 10-კრედიტიანი პრაქტიკის სახით. კურიკულუმის მიხედვით სტუდენტებს შეეთავაზებათ 6 საგანი/კურსი ერთ სემესტრში, ხოლო 4 საგანი და 10-კრედიტიანი პრაქტიკა მეორე სემესტრში. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიხედვით არც ერთ კურსს არ გააჩნია კურსზე დაშვების წინაპირობა და ყველა მათგანი არის სავალდებულო სახის. მათ შორის წინაპირობა არ აქვს პრაქტიკას, რომელიც მეორე სემესტრისთვისაა განსაზღვრული. აღნიშნული მდგომარეობა ერთი მხრივ არ ქმნის მკაფიო კავშირს კურსებს შორის, თუ როგორი შინაარსობრივი ბმებია მათ შორის. გარდა ამისა, თუ სტუდენტი პირველ სემესტრში ვერ მოიპოვებს კრედიტს, მკაფიო უნდა იყოს, თუ რომელ კურსზე ან კურსებზე ვერ ჩაერთვება მომდევნო სემესტრში. ასევე, გარკვეული წინაპირობების შექმნა, მკაფიოს გახდის სტუდენტისთვის თუ რა შეიძლება აირჩიოს მაგალითად, სტატუსის შეჩერების შემთხვევაში. მაგ: თუ პირველ სემესტრში შეიჩერებს სტატუსს, რამდენად ექნება შესაძლებლობა მეორე სემესტრში გაიაროს კურიკულუმით განსაზღვრული 5 საგანი, მათ შორის პრაქტიკა.

პროგრამაში არ არის მითითებული, რომ დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული იღებს სპეციალური მასწავლებლის სერთიფიკატს.

პროგრამის შინაარსში, ასევე შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხები. აღნიშნული დასტურდება ერთი მხრივ პროგრამის შემუშავების პროცესში (პროექტ CISI ფარგლებში) უცხოელი პარტნიორების ჩართულობითა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლით უშუალოდ ვიზიტების საშუალებითა და უცხოური საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ხოლო მეორე მხრივ სასწავლო კურსებში გამოყენებულია სხვადასხვა უცხოური წყაროები როგორც ძირითად მასალაში თარგმნილი სახით, ასევე დამატებითი საკითხავების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის N06-01/54 დადგენილება „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ - დანართი #7
- „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ - დანართი #01;
- „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესწავლა“ - დანართი #42

- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში - დანართი #01

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმა. კერძოდ, სასწავლო კურსებისთვის განისაზღვროს მასზე დაშვების წინაპირობები, პროგრამაში განისაზღვროს არჩევითი კომპონენტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, პროგრამაში აღწერილობაში მიეთითოს პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული რა ტიპის სერტიფიკატს მიიღებს;

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაში (შემდგომში - პროგრამა) წარმოდგენილია 11 სასწავლო კურსი/საგანი. მათგან 10 კურსის კრედიტების მოცულობა შეადგენს 5-ს, ხოლო 1 საგანი, კერძოდ პრაქტიკა - 10 კრედიტიანია. თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს, რადგან მომავალი სტუდენტები სწავლობენ სხვადასხვა გავრცელებულ მდგომარეობებსა და თითოეულ მდგომარეობაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებასა და შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებას. გარდა ამისა, პროგრამის პირველ სწავლის შედეგს, რომელიც დაკავშირებულია ინკლუზიური განათლების ფილოსოფიის შესახებ ცოდნის შეძენასთან, უკავშირდება პროგრამაში მოცემული შემდეგი საგნები: სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები, ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში და ინკლუზიური განათლების მეთოდური საფუძვლები. პროგრამის სწავლის მესამე შედეგში ასახული უნარი - „აღწერს განვითარების დარღვევებსა და მის გამოვლინებებს, თავისებურებს სწავლა-სწავლების პროცესში“ ვითარდება 7 სპეციფიკური კურსის მეშვეობით, რომლებიც აგებულია სხვადასხვა ნოზოლოგიების გაცნობისა და შესწავლის ირგვლივ, მაგ: აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებთან მუშაობა სკოლაში, ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ თითოეული კურსისთვის მომზადებულია პროექტს CISI-ს ფარგლებში ქართულენოვანი სახელმძღვანელოები/რიდერები, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს ყველა სილაბუსით გათვალისიწინებულ მასალას გაეცნოს ქართულ ენაზე.

11-დან 10 სასწავლო კურსში იდენტურად ნაწილდება დრო საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებისთვის, ჯგუფური მუშაობისა და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საგნის სილაბუსში მითითებულია ისეთი სწავლის შედეგები, რომელთა გაზომვაც არარეალისტურია,

ამავდროულად სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ აჩვენებს მკაფიოდ თუ როგორ ხდება დასახული შედეგის გაზომვა. მაგალითად, სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლებში, რომელიც პირველ სემესტრში ისწავლება, წარმოდგენილია ერთ-ერთი შედეგი: სტუდენტი დამოუკიდებლად წარმართავს ინკლუზიური გარემოს შექმნაზე ორიენტირებულ პროფესიულ საქმიანობას - რაც ამ კურსის ფარგლებში არარეალისტური შედეგია, რადგან კურსი ძირითადი ბაზისური ცოდნის შეძენაზეა ორიენტირებული ინკლუზიასთან დაკავშირებით. აღნიშნული სწავლის შედეგი (პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობასთან მიმართებით) გვხდება სხვა სილაბუსშიც, მაგ: ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში. ასევე, გარკვეულ შემთხვევებში სილაბუსში წარმოდგენილი სწავლის შედეგები ზედაპირულია და არ გამოკვეთს მკაფიოდ თუ რა უნარს უნდა ივითარებდეს სტუდენტი. მაგ: კურსში - აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებთან მუშაობა სკოლაში, ერთ-ერთი შედეგია - კომუნიკაციაში შედის აუტიზმის მქონე მოსწავლესთან მისი სენსორული ინტეგრაციისა და კომუნიკაციური მახასიათებლების გათვალისწინებით. ამ სწავლის შედეგში ბუნდოვანია რა იგულისხმება კომუნიკაციაში შესვლაში, გამომდინარე იქიდან რომ ზოგადი აღწერილობაა და არა კონკრეტული უნარი.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის/საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ძირითადი ლიტერატურა უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია პროექტ CISI-ს ფარგლებში შემუშავებული სახელმძღვანელოების/რიდერების სახით. აღნიშნული მასალების ძლიერი მხარეა ის, რომ ქართულ ენაზეა მოცემული და ეყრდნობა დარგში არსებულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სამეცნიერო წყაროებს. სილაბუსებში არ არის მითითებული საკითხავი ლიტერატურის გვერდები, რის გამოც რთულია იმის განსაზღვრა თუ რამდენად რეალისტურია მიწოდებული და დასამუშავებელი მასალის გაცნობა კურსით განსაზღვრული დამოუკიდებელ სამუშაო დროსთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო კურსის სილაბუსები - დანართი #02
- „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ - დანართი #01;
- თვითშეფასება - დანართი #01
- რიდერები - https://cisi.tsu.ge/useful/indexge.html?fbclid=IwAR34dtWHIhiEs9WnoYfSus0rMQq8JkBUpsDBD7TIk4Xfr4mcVJChPkV-Bjg

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გადახედვა და მათი ჩამოყალიბება იმგვარად, რომ გახდეს კონკრეტული, რეალისტური და მკაფიოდ ჩანდეს სილაბუსში, თუ როგორ ხდება განსაზღვრული შედეგების მიღწევის გაზომვა/შეფასება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, მიეთითოს საკითხავი ლიტერატურის მოცულობა, თავები ან გვერდები მიწოდებული მასალიდან.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების'' პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) მიღების წინაპირობა და ის შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან; პროგრამაზე მიღების წინაპირობები გაწერილია პროგრამაში, რომლის თანახმადაც, ჩარიცხვის წინაპირობებია: 1) ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა; 2) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პედაგოგიკური კომპეტენციის დამდასტურებელი გამოცდის ჩაბარება; 3) საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.) დაწესებულებებში სწავლების არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება; 4) საკონკურსო პირობებში მოტივაციური გასაუბრება; აღსანიშნია, რომ დაწესებულება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას დაეყრდნო ,,სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლების) უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს'', რომლის თანახმადაც, მიღების წინაპირობად განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სწავლების 2 წლიანი გამოცდილება ან სსსმ/შშმ ბავშვებთან მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება. საყურადღებოა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ,,მოტივაციური გასაუბრების ჩატარების წესი'', რომლის თანახმადაც, ,,პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს მოტივაციური გასაუბრების გავლა მოუწევთ მხოლოდ საკონკურსო პირობებში, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პედაგოგიური კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში'', თუმცა ვიზიტის დროს - ინტერვიუებში გამოიკვეთა თავად დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან (პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) განსხვავებული პოზიციები, რომ აღნიშნულ ჩანაწერში იყო ტექნიკური ხარვეზი და მოტივაციური გასაუბრება ჩატარდებოდა პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი ყველა კანდიდატისთვის, ხოლო რიგ შემთხვევაში დასტურდებოდა მხოლოდ საკონკურსო პირობებში გასაუბრების ჩატარების საჭიროება. იმისთვის, რომ შეიქმნას ყველა კანდიდატისთვის პროგრამაზე მიღების თანაბარი პირობები და გამომდინარე იქიდან, რომ მოტივაციური გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები (მოტივაციის დასაბუთება, მეტყველების

კულტურა, აუდიტორიასთან კონტაქტი და ა.შ.) ამოწმებს ჩარიცხვის კანდიდატის სხვა დამატებით უნარებსაც, მნიშვნელოვანია მას მიეცეს ყველა კანდიდატისთვის სავალდებულო ხასიათი.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტიც, რომ დაწესებულება პროგრამაზე მიღების პროცედურების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს ვებგვერდის საშუალებით (გზამკვლევი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი), ასევე პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის პროგრამის მოთხოვნების გაცნობა ხდება დაწესებულების მიერ ორგანიზებული ღია კარის დღეების ფარგლებშიც; ამასთანავე, პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება მოხდა მიზნობრივ ჯგუფებთან CISI პროექტის ფარგლებში. კერძოდ, განხორციელდა ვიზიტი 8 სხვადასხვა უსდ-ს წარმომადგენლებთან, ასევე რესურს-ცენტრების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან და ა.შ. დაწესებულების ვებგვერდზე სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში ჯერ არ არის დამატებული;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი'', რომელიც ითვალისწინებს ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, პროგრამის მოთხოვნის დინამიკას, სასწავლო პროცესის ანალიზს, დასაქმების მაჩვენებლებს; დაწესებულება პროგრამაზე სტუდენტთა მიღებას გეგმავს სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად; მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღებ პირთა მაქსიმალური კონტინგენტი - ყოველწლიურად არაუმეტეს 30 პირის მიღება;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა (დაშვების წინაპირობა);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი;
- მოტივაციური გასაუბრების ჩატარების წესი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სპეციალური მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მოტივაციური გასაუბრების ჩატარების წესი'' და დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა - მოტივაციური გასაუბრება, გახდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობა ჩარიცხვის ყველა კანდიდატისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების „სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხული პირისთვის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას. აღნიშნულის მიღწევა ხდება ისეთი სწავლების მეთოდების გამოყენებით, როგორებიცაა: პრაქტიკული მუშობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თვითრეფლექსია, მოდელირება, როლური თამაში და ა.შ. ამასთანავე, პროგრამა მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს (,,ინკლუზიური განათლების პრაქტიკა'' – 10 ECTS, სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა); კერძოდ, ,,ინკლუზიური განათლების პრაქტიკა (10 ECTS) ხორციელდება სწავლების მეორე სემესტრში, რომლის მიზანიცაა სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის საფუძველზე აითვისონ და გამოიმუშაონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან სკოლაში მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ინკლუზიური განათლების პრაქტიკის სილაბუსი მოიცავს შესასრულებელი სამუშაოს აღწერას, რომელის პირველი კვირის აქტივობებია სასწავლო პროგრამის, შეფასების კრიტერიუმების, დავალებების და პრაქტიკის დოკუმენტაციის განხილვა; ბოლო კვირები კი მოიცავს პორტფოლიოს პრეზენტაციას. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია დაწესებულების პარტნიორი საჯარო სკოლები, პროფესიული კოლეჯები, რომლებიც მიზნობრივად არის შერჩეული; კერძოდ, შერჩეულ პრაქტიკის ობიექტებზე ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების სწავლება და ამასთანავე, CISI პროექტის ფარგლებში გადამზადებულია ამ დაწესებულებებიდან პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული პირები. ამასთანავე, პრაქტიკის განხორციელებისთვის გამოყოფილია პრაქტიკის მენტორები და სუპერვაიზორები. დაწესებულებამ, ასევე, დამატებით წარმოადგინა ,,ინკლუზიური განათლების პრაქტიკის გზამკვლევი'', რომელიც შემუშავდა თსუ-ს მიერ CISI პროექტის ფარგლებში და დაწესებულება გეგმავს იხელმძღვანელოს აღნიშნული გზამკვლევით.

ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პრაქტიკის გავლის პერიოდში უნივერსიტეტიდან პროგრამაზე ჩარიცხულ პირს ხელმძღვანელობს სფეროს კვალიფიციური პერსონალი; კერძოდ, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში ჩართული პერსონალი შერჩეულია ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით'' განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად: ინკლუზიური განათლების სფეროში სწავლების ან/და მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება, არანაკლებ უფროსი მასწავლებელი ან/და უფროსი სპეციალური მასწავლებელი ან/და ფსიქოლოგი;

პრაქტიკის ობიექტებთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზანს, შედეგსა და ხანგრძლივობას; ამ ეტაპზე ბსუ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმი 30 დაწესებულებასთან (სკოლა, კოლეჯი, უნივერსიტეტი), თუმცა აღსანიშნია, რომ აქედან 6 სკოლა არის ქ. ბათუმში;

პროგრამა ვინაიდან ახალია, ჩატარდა ინტერვიუ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირებთან და კურსდამთავრებულებთან. პროგრამაზე ჩარიცხულმა პირებმა დაადასტურეს, რომ მათ სთავაზობენ სხვადასხვა კონფერენციაში, კვლევით აქტივობებში ჩართვას, თუმცა მათივე განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი მასწავლებლები არიან, ვერ ახერხებენ აქტიურ ჩართულობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ინკლუზიური განათლების პრაქტიკის გზამკვლევი.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) შესაბამისი სასწავლო კურსებში დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნის შესაბამისად გამოიყენება ისეთ სწავლება-სწავლის მეთოდები, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, დისკუსია/დებატები, ანალიზი/სინთეზი, ევრისტიკული მეთოდი, პრაქტიკული მუშაობა - სემინარი, საველე პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, როლური თამაშები და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ CISI პროექტის ფარგლებში პროგრამის განხორციელებისთვის შეძენილ იქნა სპეციალური აღჭურვილობა და თანამედროვე ლიტერატურა და ამასთანავე, განხორციელდა სასწავლო კურსების პილოტირება უცხოელი ექსპერტების მიერ და სწავლებისა და შეფასების მეთოდების დახვეწა და აღნიშნული სპეციალური აღჭურვილობის სწავლების პროცესში ინტეგრირება.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ ისინი სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც მიმართულია პირის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე (გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.) და ამასთანავე უზრუნველყოფს მათს ინტერაქციას სასწავლო პროცესში;

ამასთანავე, ERASMUS+ პროექტების ფარგლებში გადამზადებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ციფრული კომპეტენციების ამაღლებისა და სწავლების მეთოდოლოგიის მიმართულებებით.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სსსმ სტუდენტთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შედგენის მექანიზმები, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტთა შეუფერხებელი ჩართულობის მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვას მათი შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური დონის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (სწავლება-სწავლის მეთოდები);
- ბსუ-ს საგანმანათლებო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;

- CISI პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და ბსუ-ს ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' თანახმად, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის; ამასთანავე საგანმანათლებლო პროგრამაში, სილაბუსებსა თუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მოცემული შეფასების სისტემა შესაბამისობაშია მოქმედ კანონდებლობასთან;

დაწესებულებაში შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობდეს; სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით შე-ფასებას - 40 ქულა. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედური გამოცდის შეფასებას (მაქსი-მუმ 20 ქულა) და მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვრები.

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები უმრავლეს შემთხვევაში არის ვალიდური, კერძოდ შერჩეულია სტუდენტის ცოდნის შეფასების ადეკვატური შეფასების ფორმები და მეთოდები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეფასების მეთოდები არ არის რელევანტური/არ გამომდინარეობს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების (მაგალითად, სასწავლო კურსები ,,სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები'', ,,ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში'' და მათი სწავლის შედეგები: ,,დამოუკიდებლად წარმართავს ინკლუზიური გარემოს შექმნაზე ორიენტირებული პროფესიული საქმიანობას''და სხვა)

სასწავლო კურსებში ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები, თუმცა კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა უფრო მკაფიოდ, შეფასების მეთოდის შესაბამისად არის გასწერი და ამასთანავე, სილაბუსების უმრავლესობაში არ არის ან ნაწილობრივ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (მაგალითად, სასწავლო კურსებში: ,, სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები'', ,, ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლება'', ,, დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია'', ,,ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგია'', ,,მხედველობის დარღვევის მქონე პირთა სწავლების მეთოდები და განვითარების თავისებურებები''...)

მომიჯნავე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ ისინი იღებენ მათი პროფესორ-მასწავლებლებისგან შესაბამის უკუკავშირის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ; ამასთანავე, შეფასების შესახებ ინფორმაციას აწვდიან როგორც

ლექტორები, ასევე ასახულია სტუდენტის ელექტრონულ პორტალზე, იცნობენ შეფასების გასაჩივრების წესსა და პროცედურებს;

ბსუ-ში დანერგილია პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა Turnitin; ასევე, შემუშავებული აქვს „აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი", რომელიც ითვალისწინებს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის კატეგორიებს და მათზე რეაგირების მექანიზმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია;
- აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- დაწესებულების ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან მიმართებით.
- რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსისთვის შემუშავებულ იქნას შეფასების რუბრიკები/სქემები, რათა მიღწეულ იქნას შეფასების უფრო მეტი სანდოობა, გამჭვირვალობა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვადობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო

პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - დაწესებულება) სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი არაერთი სერვისი მოქმედებს. სხვა საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, სპეციალური მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამის შემთხვევაშიც ინფორმირებისა და კონსულტირების მყარი მექანიზმია შექმნილი. სხვადასხვა ღონისძიების, ტრენინგის, საჯარო ლექციის, საერთაშორისო თუ ლოკალური პროექტის შესახებ სტუდენტები ინფორმაციას რამდენიმე პლატფორმის საშუალებით იგებენ, მათ შორის: SMS-შეტყობინებით, დაწესებულების ვებგვერდით, სტუდენტური პორტალით, განცხადებების დაფითა და სხვ. ფაქტობრივად, სტუდენტების საინფორმაციო უზრუნველყოფა ეფექტიანია, რაც სესიებზე ინტერვიუს დროსაც არაერთხელ აღინიშნა. სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე, ადმინისტრაციის წარმომადგენლები საუბრობდნენ ამ მიმართულებით შექმნილ დადებით გარემოზე.

სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, აღსანიშნავია, რომ ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ადმინისტრაციის წარმომადგენლები სტუდენტებს აწვდიან მათთვის საჭირო ინფორმაციას აკადემიური, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო.

ამასთან, სტუდენტებისთვის პროფესორ-მასწავლებლების მიერ გამოყოფილია კონსულტირების საათები, რომელთა გამოყენება საჭიროებისამებრაა შესაძლებელი.

გამარტივებულია სტუდენტების მიერ სასურველი დოკუმენტის გამოთხოვისა და, საჭიროების შემთხვევაში, განცხადების დაწერის გზები. როგორც ინტერვიუს დროს სხვადასხვა სესიაზე გაჟღერდა, სტუდენტს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან, დისტანციურად შეუძლია დაწეროს განცხადება მისთვის საჭირო საკითხზე. დროულია ადმინისტრაციის მხრიდან განცხადებებზე რეაგირებაც. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხრიდან ამ მიმართულებით უკმაყოფილება არ დაფიქსირებულა.

სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ყოველსემესტრული გამოკითხვებით, რაც მათ საშუალებას აძლევს, შეაფასონ: განვლილი სემესტრი, სასწავლო კურსი და პროფესორ-მასწავლებელი. აღნიშნული კითხვარის შევსება სტუდენტებისთვის არასავალდებულო ხასიათისაა. კითხვაზე: ასეთ პირობებში (სტუდენტთა არასავალდებულო გამოკითხვა), რამდენად საკმარისია გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა და რამდენად იძლევა მათი პასუხები განზოგადების საშუალებას, - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მტკიცედ განგვიცხადა, რომ კითხვარი არასავალდებულო ხასიათის უნდა იყოს, მათივე დაკვირვებით, ყოველსემესტრულად, დაახლოებით, სტუდენტთა 15-20% იღებს გამოკითხვაში მონაწილეობას, რაც სრულებით საკმარისია ვალიდური დასკვნის გამოსატანად.

გარდა მსგავსი კითხვარისა, რომელიც სტუდენტების მხრიდან ანონიმურად ივსება, პრობლემების რეფლექსიისთვის, როგორც შეხვედრაზე გაჟღერდა, პირისპირი საუბრებიც ხშირად აქვთ.

რაც შეეხება ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, განსაკუთრებით სამეცნიერო კონფერენციებს, მომიჯნავე, მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი, პროგრამის სტუდენტებისთვის შეხვედრაზე ამ მიმართულებით გამოცდილების ნაკლებობა საგრძნობი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში

ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, მომიჯნავე (მასწავლებლის მომზადების) პროგრამის სტუდენტთა მხრიდან ჩართულობა მინიმალურია. სასურველია, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, მაქსიმალურად იყვნენ ჩართული სტუდენტები სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში, რაც მათი სფეროს განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

საერთაშორისო მობილობის მიმართულებით დაწესებულების მხრიდან გარკვეული ოპტიმიზმი და მოლოდინია. უნდა აღინიშნოს დაწესებულების ურთიერთთანამშრომლობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებთან, თუმცა ჩვენი დაკვირვების ფოკუსი მიმართულია, კონკრეტულად, სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამის სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობასა და თავიანთ სფეროში უცხოური გამოცდილების მიღების უზრუნველყოფაზე. აქ იგულისხმება არა მარტო გაცვლითი პროგრამა, არამედ საერთაშორისო მოკლევადიანი პროექტებიც.

შეჯამებისთვის: სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციას. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი, თუმცა, შეთავაზებასთან ერთად, მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელობა სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლითაც დაინტერესდეს და ყოველ ჯერზე გაუმჯობესოს ამ მიმართულებით არსებული შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები;
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის დოკუმენტები/ინფორმაცია;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, დაიგეგმოს სტუდენტთა ექსტრაკურიკულური აქტივობები;
- ინკლუზიური განათლების მიმართულებით უცხოური გამოცდილების გაზიარებისათვის, სასურველია, სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის დაიგეგმოს საერთაშორისო მობილობა: გაცვლითი პროგრამები, საერთაშორისო პროექტები და სხვ.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა

უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა

და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია 11 პირი, რომელთაგან 2 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, ხოლო 5 მოწვეული მასწავლებელია. აღსანიშნავია, რომ 11 პირისგან 6 ბათუმის უნივერსიტეტთანაა აფილირებული, რაც პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კომპონენტია. წარმოდგენილი ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტებით ირკვევა, რომ თითოეული ფლობს შესაბამის ცოდნას და რელევანტურ გამოცდილებას დარგში, რაც იძლევა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენციას. ამავდროულად პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული 11 ადამიანიდან 9 ჩართული იყო ერასმუს + პროექტში „ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად“ (CISI), რაც მეტყველებს იმაზე, რომ პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ სახელმძღვანელოებსა და სილაბუსებში მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს და ასევე გაიარეს გადამზადება უცხოელ კოლეგა პარტნიორებთან ერთად.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვა განსაზღვრულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილების შესაბამისად. განსაზღვრული დატვირთვა შესაძლებელს ხდის, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ჯეროვნად და სრულყოფილად წარიმართოს.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ბათუმის უნივერსიტეტთან აფილირებული პროფესორია. მისი აკადემიური ხარისხი - განათლების დოქტორი და დარგი - სოციალური პედაგოგიკა სპეციალური მასწავლებლის პროგრამის განხორციელებისთვის რელევანტურია. გარდა ამისა, მას აქვს ისეთი კურსების გაძღოლის გამოცდილება, როგორიცაა ინკლუზიური განათლება, ასაკობრივი პედაგოგიკა და სოციალური პედაგოგიკა. აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელი 2021 წლის სპეციალური განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრია. აღსანიშნავია, რომ მისი სამეცნიერო საქმიანობა მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურთან და ინკლუზიურ განათლებასთან არ არის დაკავშირებული, მისი საქმიანობის დიდი ნაწილი სკოლამდელი განათლების სფეროსაც უკავშირდება. პროგრამის ხელმძღვანელს პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება აქვს, ამავდროულად ინტერვიუს საფუძველზე მკაფიოდ გამოიკვეთა მისი როლი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის მომავალი სტუდენტები, ასევე, მხარდაჭერილნი იქნებიან საჭირო ადმინისტრაციული პერსონალით. თვითშეფასებითა და ინტერვიუთი ირკვევა, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში ჩაერთვება დეკანის ოფისის სპეციალისტი და დარგობრივი დეპარტამენტის 2 სპეციალისტი. რადგან პროგრამაში განსაზღვრულია მაქსიმუმ 30 სტუდენტის მიღება, წარმოდგენილი აკადემიური და დამხმარე პერსონალი სრულად საკმარისია სტუდენტების მოცემული რაოდენობის საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**11**	**11**	**6**	**6**
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	5	5	-	_
სამეცნიერო პერსონალი	6	6	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის CV - დანართი #23
- „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ - დანართი #01;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები - დანართი #24
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის CV- დანართი #51
- თვითშეფასება - დანართი #01
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც უწყვეტად მიმდინარეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება. შეფასებისთვის უნივერსიტეტში გავრცელებულია შემდეგი პრაქტიკები: თვითშეფასება, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, სტუდენტთა აკადემიური მიღწევების

მონიტორინგი, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა და სხვა. ამავდროულად, უნივერსიტეტთან აფილირებული პროფესორებისთვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებისთვის წახალისების მექანიზმი ფულადი ჯილდოს სახით. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სთავაზობს სხვადასხვა ტრენინგებსა და სასწავლო კურსებს. ამავდროულად, უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ კვლევით პროექტებში, რაც გამოიხატება პროცედურული და საჭიროების შემთხვევაში ფინანსური მხარდაჭერით.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის აკადემიური პერსონალის CV_ებიდან იკვეთება, რომ უნივერსიტეტთან აფილირებული ექვსივე პირი ბოლო 5 წლის განმავლობაში აქტიურად ჩართული სხვადასხვა პროფესიული განვითარების აქტივობებში, იქნება ეს სწავლება, ტრენინგი თუ სამეცნიერო საქმიანობა. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ თავად პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისთვის პროგრამის განმახორციელებლებმა გაიარეს გადამზადება, როგორც პარტნიორი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა და სპეციალისტებისგან, ასევე უცხოელი პარტნიორებისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის CV - დანართი #23
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტორს N06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ - დანართი #33
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/21 გადაწყვეტილება „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისთვის წახალისების წესის დამტკიცების თაობაზე“- დანართი #37
- თვითშეფასება - დანართი #01
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა განხორციელდება დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური, მათ შორის საბიბლიოთეკო, რესურსების გამოყენებით. დაწესებულებას აქვს კეთილმოწყობილი აუდიტორიები და ბიბლიოთეკა, სადაც უზრუნველყოფილია ინტერნეტ-სერვისით, წიგნადი ფონდით, სილაბუსებით გათვალისწინებული ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურით სარგებლობის შესაძლებლობა. პროგრამისთვის აუცილებელი საბიბლიოთეკო რესურსის შეძენა განხორციელდა CISI პროექტის ფარგლებში, რაც დასტურდება დოკუმენტურად. დაწესებულების ვებგვერდის (https://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-482/index.html) მეშვეობით ხელმისაწვდომია „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა“, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკის სიახლეების შესახებ, Koha (ელექტრონული კატალოგი, მითითებულია, რომ მუშაობს სატესტო რეჟიმში), OpenBiblio (ელექტრონული ბიბლიოთეკა), Heinonline (საერთაშორისო ბაზა). ამავე ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია „საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების“ შესახებ (მათ შორის, Elsevier (ScienceDirect, Scopus), Cambridge Journals Online, Royal Society Journals Collection, EBSCO) - დაწესებულების კორპორაციული ფოსტის მფლობელებს შესაძლებელია ელექტრონული ბაზებით სარგებლობა როგორც უშუალოდ დაწესებულებაში, ისე დისტანციურად. თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად, დაწესებულებამ ERASMUS+ პროექტის Love Distance და DITECH ფარგლებში შეიძინა კომპიუტერული პროგრამები - Snagit Education, Artikulate 360 Teams Plan, Zoom, Kahoot! 360, Adobe, Camtasia, Snagit, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისთვისაც. ასევე, CISI პროექტის ფარგლებში შეძენილია სპეციალური ტექნიკა/მოწყობილობები. გარდა დაწესებულების საკუთარი რესურსებისა, აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის განხორციელება იქნება ხელშეწყობილი პროექტის CISI პარტნიორებით (საქართველოს ოთხი უნივერსიტეტი და არასამთავრობო ორგანიზაციები). ასევე, პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულების სხვა პარტნიორებთან დადებული მემორანდუმების ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- CISI პროექტის ფარგლებში შეძენილი სპეც. ტექნიკა - დანართი #8.2;
- კომპიუტერული პროგრამების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - დანართი #52;
- CISI პროექტის ფარგლებში შეძენილი სალექციო მასალები, სახელმძღვანელოები - დანართები #8.1; 47;
- ბსუ-ს ბიბლიოთეკის დებულება - დანართი #19,
- ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი - დანართი #19.1;
- ბსუ-ს ვებგვერდის (https://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-482/index.html);
- მემორანდუმები - დანართი #06;
- ელექტრონული სახელმძღვანელოები - დანართი #56
- თვითშეფასების ანგარიში;
- ფაქტობრივი გარემოებები, ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებამ წარმოადგინა როგორც მთლიანად დაწესებულების, ისე პროგრამის ბიუჯეტები. პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 30 სტუდენტზე და მოიცავს როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურების ხარჯებს, ასევე პროგრამის განხორციელებაზე და განვითარებაზე გამოყოფილ ხარჯებს (შეადგენს პროგრამის ბიუჯეტის 40%-ს). ექსპერტების მიერ დასმულ კითხვაზე პროგრამის ბიუჯეტის ფორმირების შესახებ, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროგრამის ბიუჯეტის პროექტი შემუშავდა თვითშეფასების ეტაპზე. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ბიუჯეტის ფორმირების პროცესში იყო გათვალისწინებული სხვადასხვა რისკები, ასე მაგალითად, პროგრამაზე ნაკლები რაოდენობის სტუდენტის ჩარიცხვისა და, შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის შემცირების შემთხვევაში, დაწესებულება მოახდენს პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის ყველა აუცილებელი აქტივობის (მათ შორის, ინფრასტრუქტურის განვითარება, ადამიანური რესურსების განვითარების ტრეინინგები, გადამზადების კურსები, სხვ.) დაფინანსებას პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ან დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტიდან, რომელიც იძლევა აღნიშნულის შესაძლებლობას (დასრულდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ცენტრალური ბიუჯეტით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი (პირველად ხარჯთაღრიცხვა) - დანართი #60;
- დაწესებულების ბიუჯეტი (2023) - დანართი #53;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის მართვის მიზნებს, გავრცელების სფეროებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, ხარისხის პოლიტიკის პრინციპების რეალიზების მექანიზმებს (მაგ., სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება; ადმინისტრაციული, დამხმარე და პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება-განვითარება; სასწავლო რესურსების შეფასება და სრულყოფა), ამ პროცესებში ჩართული/მონაწილე პირების ფუნქციებს და სხვა. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის რეალიზებაზე პასუხისმგებელია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის საქმიანობას, ფუნქციებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს განსაზღვრავს „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აერთიანებს ცენტრალურ ოფისს და ფაკულტეტებზე შექმნილ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს, რომებიც მოქმედებენ ყოველწლიური სამუშაო გეგმების შესაბამისად, მათ შორის ახდენენ პერსონალის შეფასებას, კონსულტირებასა და ინფორმირებას, მეთოდოლოგიური მიდგომებისა და სიახლეების გაცნობას, აფასებენ პროგრამებს, მათი განხორციელებას და სხვა, რაც

გათვალისწინებულია დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი წესებით. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმები, მაგ., პერიოდული მონიტორინგი, შეფასებისა და რეაგირების სისტემა, დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების შესწავლა და სხვ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესების ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“, რომელიც აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად მახასიათებლებს, ადგენს შიდა სტანდარტს მათი შინაარსობრივი და ტექნიკური ასპექტების მიმართ, განსაზღვრავს პროგრამის შემუშავების, შეფასების, დამტკიცების პროცედურებს, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს, უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს, პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობის საკითხებს და სხვა. ამ წესის დანართებია პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსის უნიფიცირებული ფორმები. თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის შემუშავება განხორციელდა დაწესებულებაში დადგენილი წესის შესაბამისად, კერძოდ: აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამა შეიმუშავა სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი (აკადემიური და მოწვეული) პერსონალი, დაწესებულების სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, პროგრამის განმხორციელებელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის განხილვა მიმდინარეობდა გარკვეული პერიოდულობით, განსახილველი საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები მითითებულია სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმებში. სამუშაო ჯგუფის მიერ ჩამოყალიბდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სხვ.; შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები და სხვ. ასევე, სამუშაო პროცესში განხორციელდა შრომის და განათლების ბაზრის შესწავლა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოსაზრებების შესწავლა, ანალოგიური სპეციფიკის პროგრამების მოძიება და განხილვა, პროგრამის გარე შეფასება, სხვ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის პრინციპები, მიდგომები და მექანიზმები არის ერთიანი წესების სახით ჩამოყალიბებული, გამჭვირვალე, რელევანტური და ცნობილი ხარისხის უზრუნველყოფაში მონაწილე პირებისათვის (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, ინტერვიუს შედეგებით). ამავდროულად, მეტი ყურადღებაა საჭირო კანონმდებლობასთან პროგრამის კურიკულუმში და თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ინფორმაციის შესაბამისობაზ. კერძოდ, პროგრამის საფეხურად მითითებულია “უმაღლესი განათლების პირველი საფეხური” (უნდა იყოს “განათლების VI საფეხური“).
- პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილია შეფასების სხვადასხვა მეთოდების და მექანიზმების გამოყენება, მათ შორის: დადგენილ მოთხოვნებთან პროგრამის შეფასება, სასწავლო პროცესის შეფასება, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესწავლა და სხვა, რაც დაადასტურეს ინტერვიუში მონაწილე პირებმა (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუს შედეგებით);
- ინტერვიუს დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრები და პროგრამის განმახორციელებლები აღნიშნავდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიღებულ მხარდაჭერას. ასევე, ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სამუშაო პროცესი მიმდინარეობდა სამუშაო ჯგუფის წევრები ჩართულობით და იყო თანამშრომლობითი, გამჭვირვალე და დოკუმენტირებული - სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შედეგები აისახა შესაბამის ოქმებში. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუს შედეგებით);

- გარე შეფასების მიზნით პროგრამა წარედგინა დაწესებულებასთან არააფილირებულ დამოუკიდებელ ექსპერტს (პოლონეთის ერთ-ერთი უსდ-ს წარმომადგენელს) და პოტენციურ დამსაქმებლებს, ასევე შესწავლილ იქნა ანალოგიური სპეციფიკის პროგრამები. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);
- დაწესებულებაში ხორციელდება პროგრამის პერსონალის საქმიანობის შეფასება, მიღებული შედეგები გამოიყენება პერსონალის დახელოვნების ხელშეწყობის მიზნით (ბოლო პერიოდში ჩატარდა რამდენიმე ტრეინინგი ისეთ თემებზე, როგორიცაა, მაგ., სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სწავლების თავისებურებები დისტანციური სწავლების თავისებურებები დროს და სხვ.), რაზეც ისაუბრეს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა, ისე პროგრამის განმახორციელებლებმა. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);
- დაწესებულების ვებგვერდზე (https://bsu.edu.ge/sub-59/page/14911/index.html) განთავსებული ინფორმაციის თანახმად, CISI-ს პროექტში ჩართულმა პერსონალმა მოამზადა 5 სასწავლო კურსი, რომლებიც ეხება სენსორული განვითარების, ინტელექტუალური და დასწავლის უნარის დარღვევების და ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის თავისებურებებს. აღნიშნული კურსების პილოტირება პარტნიორ ქართულ უნივერსიტეტებში;
- დაწესებულება ზრუნავს ხარისხის მართვის სისტემის შემდგომ განვითარებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, დაწესებულების ერთ-ერთი პრიორიტეტია ხარისხის მართვის სისტემის განვითარება. არსებობს აღნიშნულის მზაობა და შესაძლებლობა, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი 2023 წლის ბიუჯეტი, რომლის თანახმად (იხ. ქვეპროგრამა - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერის დაფინანსება შეადგენს 2 579 244 ლარს (539 150 ლარი გამოიყოფა დაწესებულების საკუთარი შემოსავლებიდან, დანარჩენი - საგრანტო დაფინანსებიდან). დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ხარისხის მართვის სისტემის დაფინანსება განხორციელდა 2022 წელსაც და დეტალურად ისაუბრა 2022-2023 წლებში მიღებული დაფინანსებით განხორციელებულ აქტივობებზე (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, ინტერვიუს შედეგებით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი - დანართი #7;
- პროექტის CISI ფარგლებში განხორციელებული აქტივობები - დანართი # 8.3;
- ერაზმუს + პროექტის CISI ფარგლებში გადამზადების შესახებ - დანართი #9.1;
- ერაზმუს + პროექტის CISI ფარგლებში გადამზადებული პერსონალი - დანართი #9.2;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი - დანართი # 27;
- სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესი - დანართი #29;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - დანართი #33;
- პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნების წახალისება - დანართი #37;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება - დანართი #38;
- დამსაქმებლების, სპეც. მასწ-ების კვლევის ანგარიში თსუ, ბსუ - დანართი #42;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები; კურიკულუმის ოქმი - დანართი #44;
- Recomendation-Letter-CISI-PROGRAMME-2023 - დანართი #45;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები - დანართი #46;
- ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტი - დანართი #53;
- პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები - დანართი #55;
- სასწავლო კურსების პილოტირების მონიტორინგის ამსახველი მასალა - დანართი #57;
- კითხვარი - სპეციალური მასწავლებლის - დამსაქმებლის (Google-Forms) - დანართი #58;

- კითხვარი - სპეციალური მასწავლებლის (Google-Forms) - დანართი #58.1;
- სტუდენტთა გამოკითხვის ფორმა - დანართი #59;
- ფაკულტეტის საბჭოს ოქმი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ - დანართი #63;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება (პროგრამის სამუშაო ჯგუფი) - დანართი #64;
- პერსონალის განვითარების ხელშეწყობა (ბმულები) - დანართი #72;
- საუნივერსიტეტო ხარისხის სამსახურის რეკომენდაციები - დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ანგარიშები - დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია;
- ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის 2023 წლის ანგარიში - დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია;
- ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი - დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- აუცილებელია პროგრამის განათლების დონე მიეთითოს კანონმდებლობის შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამა არის ახალი და ამ ეტაპისთვის მის გარე შეფასებად შეიძლება ჩაითვალოს გარემოებები: 1) პროგრამა შემუშავდა CISI პროექტის ფარგლებში, ამ პროექტის წევრების - სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენლების - ჩართულობით; 2) პროგრამაზე სარეკომენდაციო წერილი მოამზადა დაწესებულებასთან არააფილირებულმა ექსპერტმა (პოლონეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა), რომელმაც დადებითად შეაფასა პროგრამა და აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავებულია სწავლების თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე და მნიშვნელოვანია სოციალური ცვლილებებისა და საგანმანათლებლო გამოწვევების ცვალებადი რეალობის კონტექსტში. შემფასებლის აზრით, პროგრამის სასწავლო გეგმა (ანუ საგნების თანმიმდევრობა, სასწავლო გეგმის შინაარსი, სწავლების ფორმატი და ა.შ.) რაციონალურია, ხოლო პროგრამის შედეგები ცოდნის, უნარებისა და სოციალური კომპეტენციის სფეროში შეესაბამება პოტენციური დამსაქმებლების მოლოდინებს; 3) ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა პასუხობს დარგში არსებულ მოთხოვნებს, არის აქტუალური და იმსახურებს დადებით შეფასებას. გარდა ამისა, დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ დღეისათვის შრომის ბაზარი განიცდის სპეციალური მასწავლებლების რაოდენობის სიმცირეს, რის გამო პროგრამის კურსდამთავრებულებს არ

ექნებათ დასაქმების პრობლემა. ანალოგიური მოსაზრება და პროგრამის შეფასება დააფიქსირეს მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- Recomendation-Letter-CISI-PROGRAMME-2023 - დანართი #45;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია. შესაბამისად, ობიექტური გარემოებების გამო, ვერ იქნებოდა გამოყენებული დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით დადგენილი მექანიზმები (მაგალითად, პროგრამის შეფასება არაპირდაპირი და პირდაპირი მეთოდებით, პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების დამოკიდებულებების შესწავლა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება და ა.შ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულია იმ მექანიზმების აღწერა, რომლებიც დადგენილია დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით და იყო გამოყენებული პროგრამის შემუშავების ეტაპზე.

პროგრამებს მონიტორინგის და შეფასების პროცესის ძირითადი განმსაზღვრელი დოკუმენტებია: „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“, რომლებიც ადგენენ პროგრამის შეფასების მიდგომებს, მექანიზმებს და პერიოდულობას, შეფასების პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობები, შეფასების შედეგების განხილვისა და გამოყენების საკითხებს.

პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. შეფასების მექანიზმებია, მაგალითად, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, მათ შორის სტუდენტების აკადემიური მოსწრების და პროგრამის დამლევის/სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება (სამიზნე ნიშნულების დადგენა და მათთან მიღწეული შედეგების დადარება); პროგრამების განმხორციელებელი პერსონალის შეფასება, სხვ. ასევე, შეფასების მექანიზმებს მიეკუთვნება დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებლები, პოტენციური დამსაქმებლები) დამოკიდებულებების კვლევა სხვადასხვა კითხვარების მეშვეობით. გარდა ზემოთ მითითებული

მექანიზმების გამოყენების დოკუმენტური დადასტურებისა, აღსანიშნავია ინტერვიუს შედეგებიც, მაგალითად: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს დაწესებულებაში მოქმედ მიდგომებზე და უკვე ჩატარებულ შეფასებებზე, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს შეფასების სისტემატურობა, მომიჯნავე მოქმედი პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს გამოკითხვებში მონაწილეობა. პოტენციურმა დამსაქმებლებმა დააფიქსირეს პროგრამის აქტუალობა და მათ მიერ პროგრამის დადებითი შეფასება.

გარდა ზემოთ მითითებული მეთოდების გამოყენებით პროგრამის შეფასებისა, პროგრამის სრულყოფის მექანიზმად გამოიყენება საერთაშორისო გამოცდილების (ანალოგიური სპეციფიკის პროგრამების) შესწავლა. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული განხორციელდა პროგრამის შემუშავების ეტაპზე. დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტის „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი“ თანახმად: „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა პროგრამის ანალოგიური ქართული და უცხოური პროგრამების მოძიება და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან შედარება. სამუშაო ჯგუფმა აღნიშნული მექანიზმის გამოყენება, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა“. შესწავლილ იქნა რამდენიმე უცხოეთის უნივერსიტეტის პროგრამები (რუზველტის უნივერსიტეტი, აშშ (ჩიკაგო) - სპეციალური განათლება, BAE; ოჰაიოს უნივერსიტეტი, აშშ - სპეციალური განათლების პროგრამა; ახალი ინგლისის უნივერსიტეტი, ავსტრალია - სპეციალური და ინკლუზიური განათლების ბაკალავრი (დაწყებითი); ლიბერთის უნივერსიტეტი, ვირჯინიოს შტატი - ბაკალავრი სპეციალურ განათლებაში). პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ამ პროგრამებთან შედარების შედეგებზე და პროგრამის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი - დანართი #7;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - დანართი #33;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება - დანართი #38;
- დამსაქმებლების, სპეციალური მასწავლებლების კვლევის ანგარიში თსუ, ბსე - დანართი #42;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები; კურიკულუმის ოქმი - დანართი #44;
- Recomendation-Letter-CISI-PROGRAMME-2023 - დანართი #45;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები - დანართი #46;
- პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები - დანართი #55;
- სასწავლო კურსების პილოტირების მონიტორინგის ამსახველი მასალა - დანართი #57;
- კითხვარი - სპეციალური მასწავლებლის - დამსაქმებლის (Google-Forms) - დანართი #58;
- კითხვარი - სპეციალური მასწავლებლის (Google-Forms) - დანართი #58.1;
- სტუდენტთა გამოკითხვის ფორმა - დანართი #59;
- საუნივერსიტეტო ხარისხის სამსახურის რეკომენდაციები - დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ანგარიშები - დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია;
- ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის 2023 წლის ანგარიში - დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია;
- ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი - დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ ერთვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. განათლების VI საფეხური

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	☒	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ქეთევან აფთარაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ლიკა ქურციკიძე

თამარ გვიანიშვილი

სოსო გაზდელიანი